№ 51. 10 მარტი, სამშაბათი. 1866—1881 10 მარტი, სამშაბათი. № 51.


**რედაქცია**

გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 3 კაპ., წვრილებით ასოზე ... მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებით ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით აღარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


ამ 1881 წელს

## დროება-ივერიის

გამოცემაზედ

ამ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წლიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისდა-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე ამ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობეოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი ამ წლიდამ გამოდის თთვე-და-თთვე, ახალის, უფრო ვრცელის პროგრამმით და ახალ თანამშრომლების დახმარებით. ყველა ნომერში იქნება არა-ნაკლებ 5 დიდის თაბახისა.

რედაქციას იმედი აქვს რომ ჟურნალი გამოსცეს ყოველის თთვის პირველს რიცხვს.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, გალავინის პროსპექტზე თ. ივ. ქ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში: რედაქციის აგენტთან ბ. ი. ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: Въ Тифлисъ. Въ редакцію **Дроэба-Иверіи**.

ფ ა ს ი:

| | 1 წლით | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად — | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| „დროება“ ცალკე— — — | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| „ივერია“ ცალკე — — — | 7 „ | 4 „ | 2 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. მესხი.

დღევანდელის ნომრისათვის დანიშნული მოწინავე სტატია, ჩვენი სახალხო სკოლების პლანის თაობაზედ, რედაქციისაგან დამოუკიდებელის მაზეზის გამო, ვერ იბეჭდება.

## ტელეგრამმები

—

სახსთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

**პეტერბურლი**, 7 მარტს. თანახმად წინათვე გამოცხადებულის ცერემონიალისა, მიცვალებული იმპერატორი დღეს საზამთრო სასახლიდამ პეტრე-პავლეს ციხის ეკკლესიაში გარდაასვენეს. მშვენიერი ტაროსი იყო. პროცესიის დროს ყველა ეკკლესიებში რეკა იყო. ყოველ მინუტის განმავლობაში ზარბაზანს ისროდნენ, ოქროს ეტლი, რომელიც გასაკვირვლად ბრწყინავდა მზეზე ნაშუადღევის 2 საათზე და 10 მინუტზე მიიტანეს ციხის ეკკლესიაში; მესამე საათის ნახევრზე ხელმწიფე იმპერატორმა, იმპერატორის სახლობამ და დიდკაცობამ კუბო შეიტანეს ეკკლესიაში. თითქმის ნახევარი მცხოვრებლები პეტერბურღისა მოგროვდა ამ გამოსვენებაზე, რათა უკანასკნელად თაყვანი ეცნ მეფეს-განმათავისუფლებელს.

**პეტერბურლი**, 7 მარტს. დღეს სადამოს გათავდა ხელმწიფის მოკვლის თაობაზედ დანიშნული გამოძიება. მთელი გამოძიება გარდაეცა პროკურორის ამხანაგს მურავიევს, რომელიც დამნაშავეთა გამამტყუვნებლად არის დანიშნული. ბრალდებულთა სკამზე ოთხი კაცი იქნება: ნიკოლაი რისაკოვი, ანდრეი ჟელიაბოვი, ტიმოფეი მიხაილოვი და ურიის ქალი გენა გელფმანი.

**პეტერბურლის ბირჟა**, 6 მარტს.

(„სახსთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— — | 95 | 75 |
| მეორესი— — — — — | 93 | „ |
| მესამესი — — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — — | 93 | „ |
| ალმოსავლეთის პირვ.— — | 91 | 75 |
| ალმოსავლეთის მეორე — | 92 | „ |
| ალმოსავლეთის მესამე — | 91 | 87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი -— | 7 | 93 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 219 | 50 |
| მეორე სესხის — — — | 212 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 | 75 | პენსი |
| ჰამბურლი — — | 211 | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 261 | 75 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი— — — | | | |

### ახალი ამბები.

—

ამ დღეებში ჩვენი ქალაქიდამ წავიდა პეტერბურგში თავად-აზნაურთა დეპუტაცია ახლად მიცვალებულის ხელმწიფე იმპერატორის დასაფლავებაზედ დასასწრებლად. დეპუტაციას შეადგენენ: გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ა. სუმბათოვი, თფ. უეზდის წინამძღოლი ლ.

---

«დროების» ფელეტონი, 10 მარტს.

### მართალია.

(თარგმანი)

(ვპიზოდი ირლანდიის ახლანდელ არეულობიდგან.)

— ლობე კიდევ გაუტეხნიათ, — სთქვა ვილიამ ბრემმა, შოტლიანდიელმა, მოურავმა მისტერ ჯენინგისა, როდესაც ის შედიოდა თავის ლამაზ სახლში, რომელშიაც ეს აგერ 15 წელიწადია სდგას. — ნეტა როდის იქნება მოვიშორო ეს მედგარი მურფები; მე ისინი არ მომასვენებენ, მინამ აქა სდგანან.

— ოჰ, მეც-კი ძრიელ მინდა მაგათი მოშორება, ბილლ, — დაუმატა ცოლმა. ბრემმა ჩამოიღო ჩაქუჩი და ლურსმანი, ხის ლობეს გასაკეთებლათ. — მოიცა ჯერა, უთხრა ცოლმა, ჯერ საუზმე სჭამე, მზათ არის კიდეც.

— არა, ხუთ წამში გავაკეთებ ლობეს და მერე უფრო მოსვენებით ვისაუზმებ. ნეტა მალე მოვიდეს ბატონი და გადასწყვიტოს როგორმე მაგ მურფების საქმე. სჯობს ეს ნაჭერი მიწა სრულებით იმათ მისცენ და ამდენი უსიამოვნობა კი არა გვქონდეს იმათგან.

— თუ ღმერთი გწამს, გაფთხილდი, ბილლ, ნუ წაეჩხუბები, მანამ ბატონი არ დაბრუნდეს; ისინი საშიშო ხალხნი არ არიან; დეე ის თითონ მოურიგდეს, როგორც უნდა.

— კარგი, დედა-კაცო, მე მთელი ქვეყნის მურფების არ მეშინიან; მაგრამ დამშვიდდი, მე იმათ არ წავეჩხუბები. ამ კვირაა ისინი ძრიელ პატივის-ცემით მექცევიან; რაც თავიანთ მიწები დაჰკარგეს, მას-აქეთია ასე კარგათ არ მომქცევიან; ვხედამ, ისინი ჰგრძნობენ, რომ იმათი მუქარის წერილები ჩემთან გამოუსადეგნი არიან.

— რამდენი კვერცხი შეგინახო, ორი თუ სამი? მისძახა ცოლმა ბილლს, როდესაც ის გადიოდა უკან ეზოს კარებიდგან, სადაც მურფები სცხოვრობდნენ.

— სამი, ამიტომ რომ მე იმედი მაქვს დღეს წავიდე მეიდანზე—სიცილით უპასუხა იმან.

ეს სიტყვები უკანასკნელი სიტყვები იყვნენ ბილლისა; ამის შემდეგ იმას ხმა აღარ ამოუღია თავის სიცოცხლეში.

მისტრის ბრემი შევიდა თავის ლამაზ სადილის საჭმელ ოთახში და, რადგანაც ჰფიქრობდა, რომ ქმარი მალე დაბრუნდებოდა, ყველაფერი მოამზადა: კვერცხები მოხარშა, და რამდენიმე ნაჭერი პური კარაქ-წასმული ცეცხლთან დააწყო. მაგრამ გაეიდა კარგა ხანი და ქმარი არ მოდიოდა. კვერცხები ცხელ წყალში ჩააწყო, რომ არ გაცივებულიყო. ერთი ათი წამი კიდევ მოიცადა და მერე წავიდა ეზოს კარებთან, ქმრის დასაძახებლათ.

ლობე, რომელიც ბილს უნდა გაეკეთებინა, სულ ოც ნაბიჯზე არ იყო კარებიდგან, ის შემორტყმული ჰქონდა საძოვარ მინდორს, რომელიც ეზოს წინ იყო გაშლილი. ეს მიწის ნაჭერი ამ ხუთის წლის წინათ გადასცეს მიხეილ მურფის, როდესაც იმან თავის ფერმა აიღო იჯარით. მაშინ მისტერ ჯენნინგსი აქ არ იყო. მაგრამ ამ ერთის წლის წინათ, როდესაც ეს მიწა თითონ ჯენნინგს მოუნდა იმან სთხოვა მურფებს გაენთავისუფლებინათ ეს ალაგი, და იმათ ამაზე დიდი უარი სთქვეს. მქესის თვის განმავლობაში ამათ მოუღიდათ უწყება მოურავის ბრემისაგან, რომ გადასახლებულიყვნენ, და ამ ცოტა

ა. მაღალაშვილი, თ. ანდრონიკოვი და თ. ა. მ. მუხრანსკი.

ამ გვარივე დეპუტაცია, როგორც გვწერენ, ქუთაისიდამაც წასულა. ქუთაისის დეპუტაციაში არიან: გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ნ. დ. წერეთელი, უეზდის მარშალი თ. ალმასხან ნიჟარაძე, თ. ს. დ. წერეთელი, თ. ვარ. მ. ერისთავი და თ. დ. წულუკიძე.

* * *

ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ ვითომც იქაურ მომრიგებელ მსაჯულს ბ-ნ ბონდირევს ნება მიეცეს ერთის ვაჭრისათვის სასამართლოს ზალის გვერდით ოთახში ყავახანის გახსნისა.

ესვე ბონდირევი თურმე დილის რვა საათზე იბარებს მომჩივან-მოპასუხეს და თვითონ კი შუა-დღის პირველ საათამდი არ ხსნის სხდომას. მოლოდინით დაღალული ხალხი უნებლიეთ შედის ყავახანაშიო...

* * *

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურს გუბერნიის საპყრობილეში ამ ორი დღის წინად აღმოუჩენიათ ტუსაღებისაგან გათხრილი ხვრელი სიგძით თექვსმეტი ადლი. ხვრელი იწყება ქვემო სართულის იმ ოთახიდამ, რომელშიაც ხუთი ტუსაღი ერთად იყვნენ დამწყვდეულნი, და თავდება ზედ ციხის გალავანთან, ასე რომ ერთ-ორჯერ რომ კიდევ დაეკრათ წერაქვი, სატუსაღოს გალავანს გასცილდებოდნენ. მაგრამ მიწის ზედაპირიდამ ერთობ ახლოს დაეწყოთ თხრა, რის გამოც დარაჯ-სალდათს გაეგონა მუშაობის ხმაურობა (სწორედ მისს ფეხთ ქვეშ თხრიდნენ თურმე მიწას) და შეეტყობინებია უფროსებისათვის.

ეგ პირველი არ არის, რომ ამ საპყრობილედამ ხვრელის გაყვანით ცდილობენ ტუსაღები გაპარვას და ყოველთვის ასე უცაბედი შემთხვევით ტყობილობს საპყრობილის მთავრობა ამას.

* * *

ტფილისში.

იქიდამვე გვაცნობებენ, რომ ბ-ნი ა. გამრეკელის სტამბა შეუძენია თ. პ. წულუკიძეს. ამ სტამბაში დაიბეჭდება მომავალი ქუთათური გაზეთი შრომა, რომლის გამოცემასაც, გამომცემელთ სიტყვით, წელსვე უნდა შეუდგნენ.

* * *

რუსეთისა და სამზღვარ-გარეთის ფოჩტა მეხუთე დღეა, არ რაც მოსულა ტფილისში.

* * *

დღეს, საღამოს 7-ს საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკში იქნება მეექვსე სხდომა ვეფხის-ტყაოსნის რედაქციისა.

—

## ტაქსია

**საჭმელ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ერთის თვის განმავლობაში, 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 5 კ.
მეორის „ — 1 გირ. 4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 6 კ.
მეორის „ — 1 გირ. $4^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7
მეორის „ „ 1 გირ. $5^1/_2$
მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის — 1 გირ. 11 კ.
მეორის „ — 1 გირ. 9
სუკი — 1 გირ. 17
ცხვრის ხორცი 1 გირ. 13

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის — 1 გირ. 13
მეორის „ — 1 გირ. 12 კ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც ტფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ყვირილი, 4 მარტს.** ეს რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენ დაბა ყვირილაში ვცხოვრობთ, ჩვენთვის ასე ფრიად საჭირო და დიდის მოწიწებით მოსალოდნელს ნოტარიუსის დანიშნვას. ნოტარიუსი ჩვენთვის დიდათ საჭირო იყო მისთვის, რომ აქამდის იძულებული ვიყავით ერთ უბრალო თამასუქისათვის წავსულიყავით ჩვენი მოწმეებით ქ. ქუთაისში და, მოგეხსენებათ ჯერ რამდენი ხარჯი მოგვივიდოდა გზაში და მერმე იქ; ასე რომ სულ უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ, თვითეულს ჩვენთაგანს არა ნაკლებ 10 მანეთისა გვიჯდებოდა წასვლა-წამოსვლა და ხარჯი.

ამის გამო, როგორც ზევით მოგახსენეთ, გვიამა ნოტარიუსის დანიშვნა მაგრამ ამ სიხარულს ბოლოს წუხილი მოჰყვა: რასაც ველოდით და ვიმედნეულობდით ჩვენი ნოტარიუსისაგან, მის ნახევარსაც ვერ ვხედავთ ჯერ. აქამდის ცოტა არის კეთილსინდისიანათ ეკიდებოდა თავის თანამდებობას, მაგრამ ამ ბოლოს დროს კი სულ სხვა თვალებით დაგვიწყო ცქერა. თუ მაღალი ხარისხის არასულ არა გვთვლის კაცათ და არც საქმეს გვიკეთებს თავის დროზე. ათი რომ მოვახსენოთ — ერთს თუ გვიბრძანებს, კიდევ კარგია.

დღეს რომ რაიმე საქმის გაკეთება ვსთხოვოთ, მაშინვე სხვა დროს დაგვინიშნავს: — აი ამა და ამ დღეს მოდით და გაგიკეთებთ საქმესაო. მოვდივართ დანიშნულ დროს ჩვენი მოწმეებით, ვკითხულობთ ბ-ნ ნოტარიუსს, ვტყობულობთ რომ ქ. ბორჯომში წაბძანდაო. მოვდივართ მესამეჯერ და თუმცა შინ ვპოულობთ, მაგრამ, საუბედუროთ, ახლა რაღაცა „კინლა“ არის ის გამომელიაო და უიმისოთ საქმის შესრულება არ შეიძლიაო!

ერთის სიტყვით, ჯერ იშვიათად ვნახავთ შინ და თუ ვნახეთ, რამე მიზეზს მოგვიდებს. ამდენი ხარჯი ტყვილა მიგვდის მოწმეებისა და ჩვენ რჩენაში და საქმე მაინც ისევ გაუკეთებელი გვრჩება. ერთ უბრალო საქმეზე სამჯერ ან ოთხჯერ უნდა დაგვიბაროს და მერმე ეგებ გაგვიკეთოს.

ამისთანა გაწვალების დროს ბევრჯერ გვინატრია ისევ ქუთაისში წასვლა. იქ თუმცა ხარჯი მეტი გვქონდა, მაგრამ დროზე მაინც მოვესწრებოდით საქმის გაკეთებას და აქ კი, როგორც 1881 წელს, არც თავი და არც ბოლო აქვს ჩვენს საქმეს.

მორავნელი გლეხი

—○○○—

**ფოთი, 1 მარტს.** დღეს ოთხ საათიდამ თერთმეტამდინ იყო საზოგადო შეკრებილება ფოთის საურთი-ერთო კრედიტის ბანკის წევრებისა.

როგორც მოგეხსენებათ, ფოთში ვაჭრები მომეტებული ნაწილი მეგრელები არიან. ამ ბანკშიც წევრები მომეტებულნი მეგრელები არიან.

ხუთს საათზედ გაიღო ბანკის ზალა. გამოიტანეს რევიზიისაგან აღმოჩენილი ბანკის უწესოთ ნაწარმოების მოხსენება. მართლაც, ბევრი უწესოება და წესდებულების წინაღმდეგი რამეები ვნახეთ ამ რევიზიის მოხსენებაში. მაგრამ ბანკს ამითი ზარალი არა მისცემია-რა. მაგრამ დღეიდამ ყოველივე უწესობა მოსპობილი უნდა იქნეს — საზოგადოებამ ესე გარდასწყვიტა ერთ-ხმად; დღემდის კი რაც უწესობა მომხდარა, დარჩეს უყურადღებოთო.

ყველა ეს კარგი, მაგრამ გასაკვირველია წევრების საქმე: დაწყობიდამ ისეთ ნაირათ ლაპარაკობდნენ ერთხმათ, რომ გეეგონა სწორეთ ბანკის საქმე ძალიან კარგს წრეზედ დადგებოდა. ორის საათის განმავლობაში კი ყოველივე ამათი ლაპარაკი და აზრები ჰაერში გაქრა. რამდენიმე საქმის თვალზედ გატარება განიზრახეს, იყვირეს წინაამდეგ თავსმჯდომარისა

---

ხანში სასამართლოს უნდა გადაეწყვიტნა ამათი საქმე. რამდენჯერმე ბრემს მოუვიდა ამათგან მუქარის წერილები, მაგრამ უშიშარი თავის მოვალეობას ასრულებაში, ყურს არ უგდებდა ამ წერილებს და ინახავდა თავის კანტორკაში...

მისტრის ბრემი გამოვიდა ეზოს გარეთ და მურფების კარზე გაიარა. ღია კარებიდგან ამან დაინახა მისტრის მურფი, რომელიც ორის ქალით ბუხართან იჯდა. კაცი კი არავინ სჩანდა ოთახში. ღობის გადმონგრეული ალაგი ისევ ისე იყო; ის არავის გაეკეთებინა; მხოლოთ იმის გვერდით რაღაც მოჩანდა, პირველის შეხედულობით დაყრილ ტანისამოს მიაგავდა...

მისტრის ბრემი ძრიელ კარგათ მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა და საშინელის ყვირილით გაექანა იმ ალაგთინ, სადაც ამის ქმარი ხელებ-გაპარჭყული გულ-დაღმა ეგდო. მისტრის ბრემი იმ დედა-კაცებისა არ იყო, რომ გულს შემოჰყროდა ან ღრიალი დაეწყო და ამით შეემსუბუქებინა თავის მწუხარება. ერთის შეხედვითვე ის მიხვდა, რომ ამის ქმარი მკვდარი იყო. თავ-ზარ დაცემული მწუხარებით, ის დაჯდა და ქმრის თავი კალთაში ჩაიდო. დიდხანს, გაჩუმებული დაჰყურებდა იმას. ამას არ შეუნიშნავს, რომ მისტრი მურფი გამოვიდა კარებში და გადმოხედა ამას და მერე ისევ მიუჯდა თავის საქსოვარს ცეცხლთან. ამას არც ის დაუნახავს, რომ მურფების მოჯამაგირემ დიდის სიფრთხილით გამოიხედა კარებიდგან და სიფთხილითვე მიიმალა. ამას არა დაუნახავს-რა გარდა თავის ქმრის მკვდარი სახისა; ეს იგონებდა იმ ბედნიერ წელიწადებს, რომელიც მან გაატარა თავის ქმართან... მერე დაუშვა მიწაზე, პირზე ხელ-ცახოცი გადააფარა და გაბედვით მივიდა მურფების კარებზე.

— გამოდით კაცის-მკვლელებო! დამენახვეთ! მინდა თქვენი პირი დავინახო! მაღალის ხმით დაიძახა ამან. — თქვენ დიდი ხანია ემუქრებოდით იმას და ეხლა ისე მოჰკალით, როგორც უსინიდისო მხდალებს შეჰფერის!

— ღმერთმა დაგვიფაროს! რა დაგმართვიათ, მისტრის ბრემ? — ჰკითხა მისტრის მურფიმ გაოცებულის სახით.

— რა დამმართვია? განა თქვენ არ იცით? სად არიან თქვენი წყეულიშვილები, რომლებმაც მოჰკლეს ჩემი ქმარი?

— ჯვარი გვწერია! რასა ბძანებთ? წარმოსთქვა მისტრის მურფიმ, აღშფოთებულმა და სასოებით გადაიწერა პირჯვარი.

— რას ვბრძანებ? ხედავთ ვინ გდია? — დაიყვირა მისტრის ბრემმა, და წაათრია მისტრის მურფი კარებთან. „— ოო, ჩემო საცოდაო ბილლ, ჩემო ტკბილო მეგობარო! რისთვის გადმოვსახლდით ამ თულების ქვეყანაში!“ მერე საშინელის ხელების მტვრევით უცებ სახლისკენ გაბრუნდა.

ეს ანბავი მე მხოლოთ მაშინ შევიტყე, როდესაც აქ მოველ. პოლიციას კიდეც გაეგზავნა კაცი პრისტავთან და ყოველი მხრიდგან გროვდებოდნენ პოლიციელები; ოც-და-ათ კაცზე მეტი მოგროვდენ და შეუდექით ძებნას.

რამდენსამე ნაბიჯზე გატეხილი ღობიდგან ჩვენ ვიპოვნეთ ნასროლი ტყვიის პატრონი და დავრწმუნდით, რომ ბრემი ორი ტყვიით იყო დაჭრილი. აქვე ვიპოვნეთ ორი დაჟანგებული ლურსმანი, ძველი ჩიბუხი, ზონრის ნაწყვეტი, წალის ნალის ნატეხი, ძვალის ღილის ნატეხი და

და დირექტორებისა, და შემდეგ კი ისევ იყვირეს სასარგებლოთ ხსენებულის პირებისა! ჯერ იძახდნენ, ძველი გამგე და დირექტორები ბანკისა უნდა გამოვცვალოთო; ისე რომ ხსენებულნი პირნი შეშინდნენ, მართლა არ გამოვცვალოთ და სამსახურზედ უარი განაცხადეს, —მერე თვითონ წევრები შეშინდნენ, ეგონათ კაცს ველარ იშოვნიდნენ, და ხელ-ახლათ დაუწყეს თხოვნა და ხვეწნა, რომ დარჩენილიყვნენ! რასაკვირველია, იმანიც განაზღნენ, შემდეგ განაზებისა ჯამაგირიც დაუნიშნეს, მოგებიდგან 20 პრანცენტი უნდა მიიღონ.

მართალია, ღირსნი არიან ჯამაგირისა, მაგრამ ახლა რომ სხვებს ემსახურნათ რამოდენიმე წელიწადი უჯამაგიროთ, ურიგო არ იქნებოდა ჩვენი ახალვაზრდა ბანკისთვის; თორემ ეხლავე მოგების მეხუთედი ამათ უნდა წაიღონ, ახლა ბუხლალტერს და მისს თანაშემწეს, პირველი გილდის მოწმობა, სტოროჟი, სახლის ქირა და სხვა ხარჯები, ეს მთელი მოგება ამებს მოუნდება, და თუ ორიოსამი ვექსილიც ჩავარდა საჯანჯლოთ, მაშინ ნაცვლად დივიდენდის მიღებისა, ზარალს უნდა ველოდეთ და არა ისე, როგორც დღეს, $20^{1}/_{2}$ % პროცენტი გვაქვს დივიდენდი მოგება. თუმცა რამოდენიმე პირნი ცდილობდნენ სასარგებლოთ ბანკის საზოგადოებისა, მაგრამ ვინ გაიგონა იმათი ლაპარაკი? ერთის-ხმით ერთს საგანზედ იყვირებდნენ უარსა და ხუთი მინუტის შემდეგ იმავე საგანზედ აცხადებდნენ თანხმობას!

იყვირეს, იყაყანეს, იყაყანეს და ბანკის საქმე ისევ ისე დასტოვეს, როგორც დღემდის ყოფილა! ბატონ ჩლენებს ჰგონიათ მომავალს წელსაც იმ დივიდენდს მიიღებენ, რასაც წელს ღებულობენ. ეგრეთვე ჰგონიათ, დღეიდამ ბანკში უწესობა აღარა მოხდება-რა, რადგანც საზოგადოებამ აღკრძალა. გასაკვირველია, ვისგან ელიან წესიერებას? ვინც დღემდის იყვნენ უწესობის მომქმედნი, დღეიდამაც ისევ ისინი არიან. ადვილათ ხასიათის გამოცვლა არ შეიძლება. პიდევ უწესობას უნდა ველოდოთ; რატომ ვერ მივხდით, რომ თავსმჯდომარესა და დირექტორებს პირი ჰქონდათ შეკრულნი, მაშინ მაინც უნდა მიმხვდარიყავით, როდესაც ერთს დირექტორს გამოცვლას უპირობდით და დანარჩენებმაც უარი განაცხადეს სამსახურზედ. სწორეთ რიგი ისაა: ერთი და ორი ძველი უნდა გამოვიდეს და ახლები უნდა დაწესდნენ, რომ საქმე ძველმა ახალს გააცნოს. მაგრამ იმათ არ ინებეს მისთვის, რომ ახალთან ველარას მოახერხებდნენ.

ამას ადვილათ უნდა მიმხვდარიყავით, მაგრამ რას მივხვდებოდით? თქვენ „ვარე“ და „ქოს“ უსაფუძვლო ძახილს მოუნდით!.. თქვენი დიდი შეკრებილება ის იყო, კამისიის ჩლენები აარჩიეთ და რევიზიის საჩუქარი გადაწყვიტეთ 200 მან. ესენი ყველა ადვილი იყო; საქმე ის არის, საქმე გაგეკეთებინათ, როგორც საჭირო იყო და ბანკისათვის სასარგებლო. პიდევ გნახავთ ყვიროდეთ: ამ კაცს თავის კრედიტზედ მეტიც ასესხა ბანკმაო და იმას კი სულაც არაო. მაგრამ გვიანი იქნება თქვენი ყვირილი.

ფოთელი.

## მწერლობა.

### ვეფხის ტყაოსანი.

(მეექვსე სხდომა რედაქციისა, 6 მარტ.)

სხდომა დაიწყო რვის ნახევარზე; გათავდა თერთმეტზე.

თავმჯდომარეთ იყო ნ. ტ. დადიანი.

წაიკითხეს მეორე კარის ბოლო, 148 ხანიდამ 163-დის და მთელი მესამე კარი „წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა“, —სულ ოც-და-თერთმეტი ხანა (აკადემიის გამოცემა).

გასწორდა:

ა) ტექსტში:

148 ხანაში გარეთ გასწორდ. გარე

149 „ გაუცხადა „ განუცხადა

მე-151 ხანა:

მოუკლავარ თინათინის სურვილსა...

სულ გამოირიცხა პოემიდამ, რადგანაც არც ვახთანგს აქვს მოყვანილი ეს ხანა, არც უმეტეს ნაწილ ვარიანტებშია და, ამას გარდა, ერთ ვარიანტში ნანუჩა ციციშვილის ჩანამატად არის ის ხსენებული.

152 ხან. მომხვდების გასწ. მომხვდესმცა

152 ხანაშივე ტაეპი:

მომცა წადილი გულისა აქამდის დაკარგულისა

გასწორდა:

მომცა წამალი გულისა აქამდის დადაგულისა

154 ხან. გნუკავ გასწ. გნუკევ

155 „ მღვენსა ჭსმღვნიდი „ ზღვენსა ჭზღვნიდი

156 „ დასჯნასე „ დასჯნა სე

157 „ სასურველია „ სასურვალია

— „ მიხვდა-თქო „ მიხვდა-თქვა

— „ რვალია „ თვალია

158 „ მახსენებდე „ მახსენებდი

159 „ თვალთა „ თვალთათ

— „ ცხელნი ცრემლნი „ ცხელი ცრემლი

— „ დასდგები „ დადგები.

160 ხანა ბროსსეს დაბეჭდილში მოყვანილი:

განა აქვს ლომსა იმედი...

ტექსტიდამ გამოირიცხა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც გამოირიცხა მე-151 ხანა.

161 ხან. ჩემდა გასწ. ჩემად

— „ რა გვარა „ რა გვარად

162 „ ველთა „ ველად

— „ უსასყიდლო „ უსასყიდლოდ.

მე-163 ხანა:

მისი ცეცხლი გულსა ჩემსა...

გამოირიცხა იმავე მიზეზებით.

165 ხან. გმორჩილობდენ გასწ. გმორჩილობდეს.

III კარი.

რადგანაც უკანასკნელს თბილისის გამოცემაში ხანები არ არის აღრიცხული და ამასთან პოემას ხან ემატება და ხან აკლდება ეს ხანები, უმჯობესად შევრაცხე [illegible] ხანების აღრიცხვა პირველიდამ დამეწყო. მაშინ უფრო ადვილათ შეათანხმებს მკითხველი გაზეთში მოყვანილ შესწორებას მის წიგნთან, თუ ეს საქმე სურვილი, ვინიცობაა, იმას თავში მოუვიდა.

მაშ დავიწყოთ მესამე კარი:

1 ხან. დაზრდილნო გასწ. გამზრდელნო

3 „ თავსაზე, სამე „ თავსა ზე სამ

7 „ შიგა „ შიგან

— „ თინათინა „ თინათინ ა

8 „ ვინცა „ ვინმცა

10 „ შენდა „ შენად

12 ხანა:

შერმადინ თქვა, დიდებულნო...

პოემის ტექსტიდამ გამორიცხულ იქმნა, იმავე მიზეზებით.

ბ) სხოლიოში შესატანათ ამ საღამოს წაკითხულიდამ დანიშნულ იქმნა შემდეგი ადგილები:

148 ხან. გაზრდილი გასწ. გამზრდელი

149 „ განუცხადა „ გაუცხადა

151 ხანა მთლად შევიდა სხოლიოში.

152 ხან. ვჭქმნა გასწ. ვქო

153 „ მინდა „ მმართებს

157 „ ვერცხლი „ ვეცხლი

— „ თვალია „ რვალია

159 „ მონამან „ შერმადინ

160 ხანა მთლად შევიდა სხოლიოში.

164 ხანაში იქმს გასწ. ქმნას

მე-III კარში, სასხოლიო ადგილები:

მე-3 ხანის პირველი ტაეპი, რომელიც ეხლა გადასწორდა, ვარიანტისთვის ისე დარჩა, როგორც ეხლამდის იყო დაბეჭდილი.

7 ხანაში მომხრედ გასწ. მემხრედ

8 ხანაში მესამე ტაეპი:

... მისი მკლავი გავიგიდა

გადასწორდა:

... იმას ვინმცა წავეგიდა.

შემდეგი სხდომა რედაქციისა იქნება დღეს, საღამოს, 7 საათზე, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში.

ი. მეუნარგია.

---

ლოცვანიდგან ამოხეული ფურცელი. თუმცა ეს ნაპოვნები დიდს არას შეადგენდნენ, მაგრამ მაინც სიფრთხილით შევინახეთ, ყოველ შემთხვევისთვის.

მურფების სახლობაში კაცები სრულებით შინ არავინ იყვნენ. მისტრის ბრემის სიტყვებით, ერთი იმათგანი იყო მკვლელი და ამისათვის მე უბძანე თავით ბოლომდინ გვეშინჯათ იმათი სახლი. პოლიცია შევიდა სახლში და დიდის მზრუნველობით დაუწყო შინჯვა ყოველ ბოძს, რომ ამოფუღრული არა ყოფილიყო და შიქ თოფი არ ყოფილიყო დამალული. გაშინჯეს პოლის ქვეშ, ბუხარი, ბუხრის ბანი გადაწეწეს ლოგინები, გაალეს შკაფები, ერთი სიტყვით მთელი სახლი სულ გადმოაბრუნეს. ბნელ კუნჭულში ერთის შკაფისა პოლიციამ იპოვნე ერთი ცარიელი პატრონი, რომელიც მრავალი იმას, რომელიც მკვდართან ვიპოვნეთ. ალოავზე ვიპოვნეთ ქალალდის ნამწვი, რომლითაც უთუოთ ჩიბუხი მოუკიდეს და პატარა ნაფხრეწი ქალალდისა, რომელიც უთუოთ თოფის კონდახს ედვა და თოფის ნადები ალაგი ნათლად იყო ჩაჭდეული ნოტიო მიწაზედა. აი სულ ეს იყო ჩვენი ნაპოვარი. თუმცა ეს ნივთები გვაძლევდნენ მიზეზს დავრწმუნებული ყავით ჩვენ ეჭვნეულობაში, მაგრამ იმისათვის-კი ძრიელ ცოტა იყვნენ, რომ დაჭერა მოგვეხდინა.

გამოძიებამ ახალი დასამტკიცებელი საგანი ვერა იპოვა-რა. მისტრის მურფიმ თავის ორის ქალით სთქვეს, რომ თოფის ხმა არ გაგვიგონიაო. მოჯამაგირემ, რომელიც ბაღში მუშაობდა, სთქვა, რომ, თუმცა თოფის ხმა გავიგონეო, მაგრამ ასე მეგონა ვენახებში ყვავებს აშინებს ვინმეო, და ამიტომ ყური არ მიგდიაო. ფერმერმა ქონნორმა, რომელიც მოახლოებით მინდორში მუშაობდა, პირველათ სთქვა: გავიგონე თოფის ხმაო და დავინახეო, რომ ერთმა კაცმა გაირბინა ჩემ მიწაზე თოფით ხელშიაო. შემდეგში კი სთქვა, რომ თუმცა გარბენილი კაცი დავინახეო, მაგრამ თოფი ეჭირა თუ არა, აღარ მახსოვსო. ამ ჩვენებას ძრიელ დააკვირდნენ. მოიწვიეს ის კაციც, რომელსაც ქონნორმა პირველათ ეს ამბავი უთხრა; მაგრამ იმანაც უარი სთქვა: აღარ მახსოვსო. ქონნორი ამასთანავე ფიცულობდა, რომ ის გაქცეული კაცი არ ეკუთვნოდა მურფის სახლობისაო.

ერთმა ნაფიც-მსაჯულთაგანმა მოიწვია მისტრის ბრემი და ჰკითხა: როგორ სცხოვრებდით ქმართანაო? მეორემ მსაჯულმა სთქვა, რომ შეიძლებოდა თავი თითონ მოიკლაო, მაგრამ იმაზე კი ვერ შეეძლო არ დარწმუნებულიყო, რომ მკვდარი თოფს ველარ დამალავდა.

ქონნორმა სთქვა, რომ შეიძლება მესამზღვრემ მოჰკლა ვინმემო; მაგრამ ამის წინააღმდეგ ერთმა დაფიცებულთაგანმა დაიწყო რაღაც ჭორებზე ლაპარაკი, ვითომ ბრემი ეარშიყებოდა ამ მხრის ორ-სამ ყმაწვილ ქალსაო, და უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ამ შემთხვევით შეიძლება აიხსნას ეგ სიკვდილი და არა მესამზღვრეობითაო. ის გაოცებული იყო, თუ ამათი მხარე რათ უნდა ყოფილიყო ეჭვ ქვეშ, რომელიც ამათ მისცემს დიდ ხარჯს პოლიციის შენახვაზე.

ამ სიტყვებს ყველანი დაერწმუნენ, და შეიადგინეს გადაწყვეტილება კაცის მკვლელობაზედ, რომელიც ვისგან და რის მიზეზით მოხდა, დარჩა შეუტყობელიო.

(გაგრძელება)

# განცხადებანი

—

## თფილისის ქალაქის
## გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქუჩების და მეიდნების დაგვა და გასუფთავება ამ წლის განმავალობაში იქნება ამ წესით:

### კვირაში სამჯერ

1 კატეგორიისა.

1. გოლოვინის პროსპექტი — გაუპვახტიდამ ფოჩტის სტანციამდი.
2 ნიკოლაევის მეიდანი სასახლის, წინ,
3. სასახლის ქუჩა,
4. ერევნის მეიდანი,
5. ბარათინსკის ქუჩა,
6. სოლოლაკის ქუჩა,
7. რუსის ბაზარი (იარმუკა),
8. ძველი ფოჩტის ქუჩა,
9. მადათოვი,
10. სომხის (შუა) ბაზარი,
11. სირაჯების რიგი ,
12. თათრის (პურის) მეიდანი,
13. მერკინების ქუჩა,
14. მეჩითის ყრუ-ქუჩა,
15. მიხაილოვის (კუკიის) ხიდი და
16. მიხაილოვის ქუჩა.

### კვირაში ორჯერ

2 კატეგორიისა.

1. ერმალოევის ქუჩა,
2. სერგიევის,
3. დავიდოვის მირზოევის სახლამდინ,
4. კრუზენშტერნის,
5. ჭავჭავაძის,
6. კომენდანტის,
7. არსენალის,
8. ლაბორატორნის,
9. ატამანის,
10. ბაზრის,
11. კუზნეცკის,
12. მუხრანსკის,
13. ვოდოვოზნი, ვანქის დაღმართი,
14. ნიკოლაევის მაიდანი (ჩულურეთი),
15. დესიმონოვის გადასახვევებით,
16. პსკოვის,
17. პესკოვსკის აღმართი,
18. სირაჯხანა და მეთევზების აღმართი,
19. კახეთის მაიდანი,
20. ნაგორნის ქუჩა,
21. კონსულის,
22. ნოვო-ბებუთოვის,
23. რეტიშჩევის,
24. ინსტიტუტის,
25. განოვის,
26. ველიმინოვის,
27. დიდი ვოდოვოზნის,
28. გეორგიევის,
29. გიმნაზიის,
30. ველაბრის ხიდები,
31. რაზენოვის,
32. მოსტოვაია,
33. ხამანის მაიდანი,

### კვირაში ერთხელ

3 კატეგორიისა.

1. საპიორნის ქუჩა,
2. კანიუშნის,
3. ბუდოვიჩის
4. ფრეილინის,
5. სოლოლაკის,
6. მერკინეების რიგი,
7. სომხის ქუჩა,
8. პუსტაია,
9. დოქტორის ქუჩა,
10. სემინარიის,
11. ძველი გიმნაზიის ქუჩა,
12. კოჯორის,
13. სადოვაია,
14. ამალიების (ვოზნესენის),
15. პატარა სადოვაია ანუ ბასტამოვის,
16. საპიორნის ქუჩა,
17. არტილერიის,
18. ინჟინერის,
19. ოქრომჭედლების ქუჩა,
20. პატარა ბაზაზხანა,
21. მექუდეების რიგი,
22. ვორონცოვის ნაბერეჟნი,
23. ელისავეტინის,
24. ტროიცკის ვიწრო ქუჩა,
25. ფრანგების ქუჩა,
26. ნახშირის მაიდანი,
27. პურის მაიდანი,
28. აბანოს,
29. ვორონცოვის,
30. დიდი ბრუნდე ქუჩა,
31. კვირაცხოვლის,
32. ალექსანდროვის,
33. ტროიცკის,
34. ბარონის,
35. გრაფის,
36. ორბელიანის 1-ლი,
37. ორბელიანის 2-რე,
38. სიმონსონოვის,
39. განკის ვიწრო ქუჩა,
40. ვანქის ქუჩა,
41. ვანქის ვიწრო ქუჩა 1-ლი,
42. ვანქის ვიწრო ქუჩა 2-რე,
43. ტალახის,
44. პატარა ტალახის,
45. პოლიციის ქუჩა,
46. ფომინოის,
47. სუფნიშნის,
48. ოგშჩესტვენის,
49. ბაგრატიონოვის,
50. ანჩისხატის,
51. ეგზარხოსის მაიდანი,
52. სიონის ქუჩა,
53. ნემეცების,
54. პრიკაზის,
55. აქიმოვის,
56. მეშჩანის,
57. დეორიანის,
58. ნორაშნის,
59. ხარაზების რიგი,
60. გეორგიევის მაიდანი,
61. აბას-აბადის მაიდანი,
62. მოლლინის ვიწრო ქუჩა,
63. ბებუთოვის ქუჩა,
64. იერუსალიმის,
65. ტამოჟნის,
66. კოლონისტის,
67. როტის და აფთიაქის,
68. კიროჩნის,
69. ნიკოლაევის,
70. ალექსანდროვის,
71. ნემეცის,
72. ფედოროვის,
73. კოჩუბეევის,
74. სემიონოვის,
75. ალექსეევის,
76. გეიდენის,
77. გალოჩნის,
78. ეკკლესიის,
99. ახალი — ფრანგების ქუჩა,
80. მოლოკანის,
81. მოლოკანის მაიდანი,
82. პანასევჩის ქუჩა,
83. სუპ-კარაპეტის აღმართი,
84. დიდ-ხევის დაღმართი,
85. ავჭალის ქუჩა,
86. რეუტოვის,
87. ანდრეევსკის,

### ორ კვირაში ერთხელ

4 კატეგორიისა

1. სალდათის ქუჩა,
2. მთაწმინდის 1-ლი,
3. მთაწმინდის 2-რე,
4. კოჯორის ვიწრო ქუჩა,
5. დავიდოვის მირზოევის სახლიდამ მაიდნამდინ,
6. 1-ლი ნაგორნის ქუჩა,
7. 2-რე ნაგორნის,
8. 3-მე ნაგორნის,
9. ოვრაჟის,
10 1-ლი პარალელნი,
11. 2-რე პარალელნი,
12. კალიუჩია ბალკა,
13. მირსკოვის ბალკა,
14. ცხნეტის ქუჩა,
15. პატარა ვოდოვოზნის ვიწრო ქუჩა,
16. ტიფლოვის ვიწრო ქუჩა,
17. სალდათის ვიწრო ქუჩა,
18. ქუჩები, რომელიც ვანქის, ვიწრო ქუჩიდამ პოპკოვის წისქვილამდინ,
19. ორბელიანოვის ვიწრო ქუჩა,
20. სატნოვის ქუჩა,
21. 5-თე ნაგორნის ვიწრო ქუჩა, ავრაჟის ქუჩასთან,
22. ბრუნდე ნაგორნის ლაბორატორნი ქუჩიდამ არშაკუნის ბაღამდინ,
23. პოლიციის ვიწრო ქუჩა,
24. ვიწრო ქუჩა შუაბაზართან,
25. ფრანგების ვიწრო ქუჩა,
26. ვიწრო ქუჩა, რომელიც დიდი ბრუნდე ქუჩიდამ პატარა ბაზაზხანამდის.
27. სალებავის ქუჩა,
18. თათრების აღმართი ქუჩა,
29. ბოტანიკის ბაღის ქუჩა,
30. ძველი ციხის ვიწრო ქუჩა,
31. პატარა პოლიციის ვიწრო ქუჩა,
32. ფეთხაინის ქუჩა,
33. პატარა ფეთხაინის,
34. ფეთხაინის ვიწრო ქუჩები,
35. ბებუთოვის ვიწრო ქუჩა,
36. ვორონცოვის ვიწრო ქუჩა,
37. ერევნის ქუჩა ყაზახების ხიდიდამ,
38. ახალი არსენალის ქუჩა.
39. ვოდოპოდიომნის,
40. მეტეხის აღმართი,
41. ლაზარევის ქუჩა,
42. კახეთის ქუჩა ნავთლუღის მაიდნამდინ ,
43. მაღალი სადოვაია,
44. დაბალი სადოვაია,
45. 1-ლი მალაკნების ვიწრო ქუჩა,
46. 2-რე მალაკნების ვიწრო ქუჩა,
47. მესხიევის ვიწრო ქუჩა.

ნაგავი და ტალახის გასატანათ რომელიც მოიკრიფება ქუჩაში უნდა დაიჭირონ პოლოსკები და იმავე დღეს გადატანილი იყოს ქუჩებიდამ; თუ რამე უწესოება იქნება, ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველა მცხოვრებლებს შეატყობინოთ წერილით ანუ სიტყვით.

---

სომესთა ნერსესის სემინარიის ჰოპეჩიტელების საბჭოში, ამ მარტის თვის 18 სა აღამოზედ 8 საათზედ არის დანიშნული ტორგი (უპერეტორჟკოთ) იჯარით მისაცემათ იგივე სიმინარიის მამული, ერთი დუქანი თავის სარდაფით (შეწირული მიცვალებული გრიგორ ბერგილოვისაგან,) რომელიც იპოვება შუა ბაზარში: მსურველს აღებისა იმ მამულისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (КОНДИЦІЯ) იმავე სემინარიის კანცელარიაში, ყოველ დღე, კვირასა და ქეიფ დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ შუადღისა. (3—2)

---

**დასყიდვა ფასებით:**

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიც ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეაში. (20—5).

---

**დუშეთის ნატარიუსი ი. ი. ნატროევი** აცხადებს, რომ მუშაობა ექმნება თავის კანტორაში, ქ. დუშეთში, ყოველ დღე, დილის რვა საათიდგან ორ საათამდის შუადღის შემდეგ:

აქვე შეუძლიანთ მსურველთ მიიღონ დარიგება და შეადგენინონ ყოველ გვარი არზები სადავო საქმეებსა ზედა, **ღარიბთათვის უფასოთ.**

(3—3)

---

**ტოლლეს მაღაზიაში**

25 თებერვლიდამ 10 მარტამდე იქნება **გასყიდვა** ყოველ გვარის საქონლისა იაფ ფასებით. (5—5)

---

**თესლები**

**ბოსტნეულობისა და ყვავილებისა**

მიღებულია თესლების დეპოში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, გოლოვინის პროსპექზე, **№ 11, ლარშეს** მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოღები თესლებისა. (10—8)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა